

შპს „მირკო“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობითი ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან
ერთად

შპს „მირკო“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-4

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9-33
მმართველობითი ანგარიშგება	34

შპს „მირკო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მირკო“-ს ხელმძღვანელობას და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მირკო“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალსა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითს შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას. (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება (პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენების გარდა), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას არ ჩაუტარებია მარაგების სრული ინვენტარიზაცია 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგვეღო აუცილებელი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორე და იყო თუ არა ეს სასაქონლო-მატერიალური მარაგები გაუფასურებული, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 11,998 ლარისა და 12,823 ლარის, ღირებულებით, შესაბამისად.

აუდიტი წავრმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ („IESBA კოდექსი“) და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშში შესულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის თვალსაზრისს არ გამოვხატავთ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმაედროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებულთან არსებითად შეუსაბამო ან ხომ არ არის ის სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი. თუ, ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ აღნიშნული სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, მოგვეთხოვება ამ ფაქტის ანგარიშგება.

აღნიშნულ პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით არა გვაქვს საკითხი, რომლის ანგარიშგებაა საჭირო.

შპს „მირკო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ

შპს „მირკო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობით ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

31 ოქტომბერი 2024

შპს „აი.ჯი.ეფ“

მაკა აკოლაშვილი

გარიგების პარტნიორი

შპს „მირკო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობით ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

31 ოქტომბერი 2024



შპს „აი.ჯი.ეფ“

მაკა აკოლაშვილი

გარიგების პარტნიორი

შპს „მირკო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	3,363	1,377
აქტივის გამოყენების უფლება		227	106
არამატერიალური აქტივები		40	35
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	309	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,939	1,518
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	11,998	12,823
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	4,541	5,164
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	8	953	400
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	9	1,133	
ბანკში განთავსებული ვადიანი ანაზრები	10	671	1,329
ფული და ფულის ექვივალენტები	11	2,129	5,736
სულ მოკლევადიანი აქტივები		21,425	25,452
სულ აქტივები		25,364	26,970
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	12	21,460	21,255
სულ საკუთარი კაპიტალი		21,460	21,255
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		195	64
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		195	64
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		44	64
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	3,144	5,093
მიღებული ავანსები	14	521	494
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,709	5,651
სულ ვალდებულებები		3,904	5,715
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		25,364	26,970

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2024 წლის 31 ოქტომბერს, შპს „მირკო“-ს ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

ჯანიკო აბიათარი
დირექტორი

შპს „მირკო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	3,363	1,377
აქტივის გამოყენების უფლება		227	106
არამატერიალური აქტივები		40	35
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	309	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,939	1,518
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	11,998	12,823
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	4,541	5,164
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	8	953	400
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	9	1,133	
ბანკში განთავსებული ვადიანი ანაზრები	10	671	1,329
ფული და ფულის ექვივალენტები	11	2,129	5,736
სულ მოკლევადიანი აქტივები		21,425	25,452
სულ აქტივები		25,364	26,970
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	12	21,460	21,255
სულ საკუთარი კაპიტალი		21,460	21,255
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		195	64
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		195	64
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		44	64
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	3,144	5,093
მიღებული ავანსები	14	521	494
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,709	5,651
სულ ვალდებულებები		3,904	5,715
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		25,364	26,970

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2024 წლის 31 ოქტომბერს, შპს „მირკო“-ს ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

ჯანიკო აბიათარი
დირექტორი



შპს „მირკო“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	15	24,120	27,067
ამონაგების თვითღირებულება	16	(15,573)	(17,761)
საერთო მოგება		8,547	9,306
			-
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები		(374)	(308)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1,522)	(1,122)
ფინანსური შემოსავალი	7,9,10,11	220	229
ფინანსური ხარჯი		(28)	(31)
გაუფასურების ხარჯი	7	(1,478)	(929)
საკუროს სხვაობიდან მიღებული მოგება		9	106
სხვა ხარჯი, წმინდა		(126)	(179)
მოგება გადასახადამდე		5,248	7,072
მოგების გადასახადის ხარჯი		(756)	(797)
წლის წმინდა მოგება		4,492	6,275
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული მოგება		4,492	6,275

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2024 წლის 31 ოქტომბერს, შპს „მირკო“-ს ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

ჯანიკო აბიათარი
დირექტორი

შპს „მირკო“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	15	24,120	27,067
ამონაგების თვითღირებულება	16	(15,573)	(17,761)
საერთო მოგება		8,547	9,306
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები		(374)	(308)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1,522)	(1,122)
ფინანსური შემოსავალი	7,9,10,11	220	229
ფინანსური ხარჯი		(28)	(31)
გაუფასურების ხარჯი	7	(1,478)	(929)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება		9	106
სხვა ხარჯი, წმინდა		(126)	(179)
მოგება გადასახადამდე		5,248	7,072
მოგების გადასახადის ხარჯი		(756)	(797)
წლის წმინდა მოგება		4,492	6,275
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული მოგება		4,492	6,275

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2024 წლის 31 ოქტომბერს, შპს „მირკო“-ს ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

Handwritten signature

ჯანიკო აბიათარი
დირექტორი



შპს „მირკო“

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს		19,477	19,477
წლის მთლიანი სრული მოგება		6,275	6,275
გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები	12	(4,497)	(4,497)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს		21,255	21,255
წლის მთლიანი სრული მოგება		4,492	4,492
გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები	12	(4,287)	(4,287)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს		21,460	21,460

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2024 წლის 31 ოქტომბერს, შპს „მირკო“-ს ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

ჯანსიკო აბიათარი

დირექტორი

შპს „მირკო“

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს		19,477	19,477
წლის მთლიანი სრული მოგება		6,275	6,275
გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები	12	(4,497)	(4,497)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს		21,255	21,255
წლის მთლიანი სრული მოგება		4,492	4,492
გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები	12	(4,287)	(4,287)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს		21,460	21,460

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2024 წლის 31 ოქტომბერს, შპს „მირკო“-ს ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:


ჯანუკო აბიათარი
დირექტორი



შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება გადასახადამდე		5,248	7,072
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	17	316	250
ფინანსური შემოსავალი		(220)	(229)
ფინანსური ხარჯი		28	27
ფინანსური აქტივის გაუფასურების ხარჯი	7	1,478	929
მარაგების ჩამოწერა	16	1,656	1,294
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება		(9)	(106)
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ზარალი		5	-
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:		8,502	9,237
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ცვლილება		(1,093)	1,490
სხვა მოკლევადიანი აქტივების ცვლილება		(553)	357
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ცვლილება		(831)	(4,356)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების ცვლილება		(1,914)	(654)
მიღებული ავანსის ცვლილება		27	(844)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		4,138	5,230
გადახდილი პროცენტი		(28)	(27)
მიღებული პროცენტი		121	217
მოგების გადასახადის გადახდა		(756)	(797)
წმინდა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული		3,475	4,623
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(2,258)	(682)
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში ცვლილება		(1,059)	-
ბანკში განთავსებული ვადიანი ანაზღაურების ცვლილება		671	1,252
საინვესტიციო საქმიანობიდან (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,646)	570
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(64)	(54)
გადახდილი დივიდენდები	12	(4,287)	(4,497)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(4,351)	(4,551)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(3,522)	642
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	10	5,736	5,148
წმინდა საკურსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		(85)	(54)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	10	2,129	5,736

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2024 წლის 31 ოქტომბერს, შპს „მირკო“-ს ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

ჯანიკო აბიათარი
დირექტორი

შპს "მირკო"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება გადასახადამდე		5,248	7,072
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	17	316	250
ფინანსური შემოსავალი		(220)	(229)
ფინანსური ხარჯი		28	27
ფინანსური აქტივის გაუფასურების ხარჯი	7	1,478	929
მარაგების ჩამოწერა	16	1,656	1,294
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება		(9)	(106)
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ზარალი		5	-
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:		8,502	9,237
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ცვლილება		(1,093)	1,490
სხვა მოკლევადიანი აქტივების ცვლილება		(553)	357
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ცვლილება		(831)	(4,356)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების ცვლილება		(1,914)	(654)
მიღებული ავანსის ცვლილება		27	(844)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		4,138	5,230
გადახდილი პროცენტი		(28)	(27)
მიღებული პროცენტი		121	217
მოგების გადასახადის გადახდა		(756)	(797)
წმინდა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული		3,475	4,623
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(2,258)	(682)
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში ცვლილება		(1,059)	-
ბანკში განთავსებული ვადიანი ანაზღაურების ცვლილება		671	1,252
საინვესტიციო საქმიანობიდან (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,646)	570
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(64)	(54)
გადახდილი დივიდენდები	12	(4,287)	(4,497)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(4,351)	(4,551)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(3,522)	642
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	10	5,736	5,148
წმინდა საკუთრო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		(85)	(54)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	10	2,129	5,736

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2024 წლის 31 ოქტომბერს, შპს „მირკო“-ს ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

ჯანკო აბიათარი
დირექტორი



შპს „მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „მირკო“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოში 2002 წლის 11 დეკემბრის საქართველო კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით (204996772). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეკინის გამზ., N15ა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო სადიაგნოსტიკო აპარატურის და სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების იმპორტი და საბითუმო/საცალო რეალიზაცია და სერვისული მომსახურება. კომპანია, ასევე, ახორციელებს ცხოველების საკვების (ძაღვებისა და კატებისთვის) იმპორტს გერმანიიდან და შემდგომ მათ საბითუმო/საცალო რეალიზაციას.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ომარ ლომსაძე.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 51 და 45, შესაბამისად.

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკის შესახებ

მომზადების საფუძველი - წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბასს-ის მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ქვემოთ აღწერილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

განცხადება შესაბამისობის შესახებ - ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების („ფასს“) და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების კომიტეტის („ფასიკ“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

საწარმოს ფუნქციონირება. ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია საქმიანობას განაგრძობს, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო, რაც გულისხმობს, რომ კომპანია საპროგნოზო მომავალში შეძლებს თავისი აქტივების რეალიზებასა და თავისი ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ მიცემული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც აქტივის მფლობელი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან ვალდებულების მფლობელი გადაიხდიდა ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების ან/და განმარტების მიზნებისათვის, რეალური ღირებულება განისაზღვრება ამგვარ საფუძველზე.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

აღნიშნული არ ეხება აქციებზე დაფუძნებული გადახდით განხორციელებულ ტრანზაქციებს, რომლებიც რეგულირდება ფასს 2-ით, იჯარის ტრანზაქციებს, რომლებიც რეგულირდება ბასს 17-ით და იმ შეფასებებს, რომლებიც რეალური ღირებულების გარკვეულ მახასიათებლებს ამჟღავნებს, მაგრამ რეალური ღირებულება არ არის, როგორცაა წმინდა რეალიზებადი ღირებულება (ბასს 2) ან გამოყენებული ღირებულება (ბასს 36).

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად ხილული მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტები მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის ხილული არ არის.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს სუბიექტი ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება, მოახდინოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს ურთიერთჩათვალოს იგი წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულები. კომპანია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება არ ქვითავს შემოსავლებსა და ხარჯებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაქვითვა მოითხოვება რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, ან კომპანიის ბუღალტრული პოლიტიკით.

ხელშეკრულება და სახელშეკრულებო ვალდებულებები. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვან საქონელს. არის შემთხვევები, როდესაც შემოსავლის აღიარებასა და ანაზღაურების გადახდას შორის არის დროითი სხვაობა. თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან საწარმოს უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ საწარმო საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, საწარმო ხელშეკრულებას წარადგენს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ მოვლენებიდან). სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).

კომპანიამ გამოიყენა ფასს 15.121-ით გათვალისწინებული პრაქტიკული მიზანშეწონილობა და არ წარადგენს ინფორმაციას შეუსრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებაზე განაწილებული გარიგების ფასის აგრეგირებული თანხის შესახებ, რომლის შესაბამისი ხელშეკრულების თავდაპირველი ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

კომპანიას 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები. სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოდგენილია „მიღებული ავანსების“ მუხლში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარა - კომპანია შეაფასებს, შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას ან ითვალისწინებს თუ არა იჯარას ხელშეკრულების დადების დროს. კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას ყველა საიჯარო შეთანხმების მიმართ, რომელშიც ის არის დამქირავებელი, გარდა მოკლევადიანი იჯარისა (აღნიშნული განსაზღვრულია, როგორც იჯარა, რომელსაც აქვს 12 თვეზე ნაკლები საიჯარო ვადა) და დაბალი ღირებულების აქტივებისა (მაგალითად, ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, საოფისე ავეჯის მცირე ნივთები და ტელეფონები). ასეთი ტიპის იჯარისთვის კომპანია საიჯარო ხარჯს აღიარებს, როგორც საოპერაციო ხარჯს წრფივი მეთოდის საფუძველზე.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად იზომება იჯარის გადასახადის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც არ არის გადახდილი დაწყების დღეს, მისი დისკონტირება ხდება იჯარაში მითითებული განაკვეთის გამოყენებით. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანია იყენებს დამატებითი სასესხო საშუალებების მოზიდვის საკუთარ ტარიფს. საიჯარო ვალდებულება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე ხაზად.

საიჯარო ვალდებულება შემდგომში აღირიცხება საბალანსო ღირებულების გაზრდით, რათა ასახოს იჯარის ვალდებულების პროცენტი (ეფექტური პროცენტის გამოყენებით) და აღრიცხვის ღირებულების შემცირებით, რათა ასახოს განხორციელებული საიჯარო გადახდები. კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას (და შესაბამის კორექტირებას ახდენს შესაბამის აქტივის გამოყენების უფლებაზე), როდესაც:

- შეიცვალა საიჯარო ვადა ან ადგილი აქვს მნიშვნელოვანი მოვლენა ან გარემოებების ცვლილებას, რამაც გამოიწვია შესყიდვის ვარიანტის განხორციელების შეფასების ცვლილება, ამ შემთხვევაში იჯარის ვალდებულების ხელახალი შეფასება ხდება განახლებული საიჯარო გადასახადების დისკონტირებით, განახლებული დისკონტის განაკვეთის გამოყენებით;
- საიჯარო გადასახდელები იცვლება ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების ან გარანტირებული საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი შეცვლის გამო, ამ შემთხვევაში იჯარის ვალდებულება ფასდება განახლებული გადასახდელების მიხედვით და თავდაპირველი დისკონტის განაკვეთის გამოყენებით. (გარდა იმ შემთხვევისა, თუ იჯარის გადახდების ცვლილება განპირობებულია მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით - ამ შემთხვევაში გამოიყენება განახლებული დისკონტის განაკვეთი).
- შეიცვალა საიჯარო ხელშეკრულება და იჯარის მოდიფიკაცია არ ითვლება ცალკეულ იჯარად, ამ შემთხვევაში საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასება ხდება მოდიფიცირებული იჯარის ვადის საფუძველზე, განახლებული საიჯარო გადასახადებისა და განახლებული დისკონტის განაკვეთის გამოყენებით. ფასდაკლებით, ასევე, ცვლილების თარიღისთვის მოქმედი გადასინჯული ფასდაკლების გამოყენებით.

აქტივის გამოყენების უფლება მოიცავს შესაბამისი საიჯარო ვალდებულების საწყის შეფასებას, იჯარის გადასახდელებს, რომელიც განხორციელდა დაწყების დღეს ან მის წინ, და ნებისმიერი პირდაპირი ხარჯების შემცირებას. შემდგომში ის ფასდება შემდეგნაირად: ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ხარჯი. როდესაც კომპანიას იჯარით მიღებულ აქტივზე დემონტაჟისა და გატანის ხარჯის გაწევა უწევს, ან ვალდებულია აღადგინოს აქტივი, კომპანიამ უნდა აღიაროს ანარიცხები ბასს 37-ის შესაბამისად. რამდენადაც ეს ხარჯები ეხება აქტივის გამოყენების უფლებას, ხარჯები შედის შესაბამისი აქტივის გამოყენების უფლებაში, თუ ეს არ ეხება წარმოებულ მარაგებს.

აქტივის გამოყენების უფლება ამორტიზირდება ძირითადი აქტივის საიჯარო ვადის და სასიცოცლო ვადის შორის უმცირესის გამოყენებით. თუ მეიჯარე მოიჯარეს გადასცემს ძირითად აქტივს მფლობელობაში ან გამოსყიდვის უფლებით, აქტივი ამორტიზირდება მისი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. ამორტიზაცია იწყება იჯარის დაწყების თარიღიდან.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

აქტივის გამოყენების უფლება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე ხაზად. აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურების შეფასებისთვის კომპანია იყენებს ბასს 36-ს.

პრაქტიკული მიზანშეწონილობით, ფასს 16 საშუალებას აძლევს მოიჯარეს არ გამოყოს არასაიჯარო კომპონენტები, და ამის ნაცვლად ითვალისწინებს იჯარის და დაკავშირებულ არასაიჯარო კომპონენტებს, როგორც ერთობლივ გადასახდელებს. კომპანიამ გამოიყენა ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ არის წარმოდგენილი, როგორც მეიჯარე.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი სამუშაო ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ყველა სხვაობა შეტანილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის	2.6894	2.9753
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის	2.7020	2.8844

გადასახადები.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადები აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის სრულად ან არსებითად ამოქმედებული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა

პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს ყველა სუბიექტისთვის, გარკვეული ფინანსური ინსტიტუტების გარდა. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი

გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა).

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წელი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც კავშირში არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან. ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება როგორც „გადასახადები და მოსაკრებლები“. ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზისი კარგავს ეკონომიკურ მნიშვნელობას და ბასს 12 - „მოგების გადასახადი“ სტანდარტით განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები ახალი კორპორატიული დაბეგვრის მოდელში აღარ მოქმედებს.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები მთლიანად აღრიცხულია პირვანდელი ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული დაგროვილი ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. პირვანდელი ღირებულება მოიცავს შესყიდვებთან პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს. კომპანიის აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალისა და ყველა სხვა ხარჯს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის შესაბამის მდგომარეობაში მოყვანის, დემონტაჟის და მოხსნის ხარჯებს.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ, ისინი აღრიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლოატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

შემდგომი დანახარჯები. ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ

სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მისი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა. ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის ნარჩენი ღირებულების შემცირების მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის ცვეთის ნორმებია:

სამედიცინო აპარატურა	20%
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	20%
მანქანები	20%
სხვა	15-20%

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო გამოყენების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია განიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, აქტივის

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

აღდგენითი ღირებულება ფასდება გაუფასურების მასშტაბების განსაზღვრისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების გენერირების ინდივიდუალურ ერთეულზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა მართებული განაწილების საფუძველი არსებობს.

აღდგენითი ღირებულება არის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები და სამომხმარებლო ღირებულებას შორის უმეტესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები დღევანდელ ღირებულებამდე ექვემდებარება დისკონტირებას გადასახადამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ასახავს არსებული ბაზრის შეფასებას ფულის ღირებულებით დროში და ითვალისწინებს აქტივისათვის დამახასიათებელ რისკებს, რომელთა საფუძველზე მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების კორექტირება არ განხორციელებულა.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გაუფასურების ზარალის შემდგომში აღდგენის შემთხვევაში, აქტივის (ან ფულის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მისი აღდგენითი ღირებულების კორექტირებულ ოდენობამდე იზრდება, მაგრამ ისე, რომ ახალმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რაც დადგინდებოდა, რომ არ მომხდარიყო აქტივზე (ან ფულის მომტან ერთეულზე) გაუფასურების ზარალის აღიარება წინა წლებში. გაუფასურების ზარალის აღდგენა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც საჭირო გახდა მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

წინასწარ გადახდილი და გადასახდელი გადასახადები. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, სავარაუდო ამოუღებელი ღირებულების ოდენობის რეზერვის გამოკლებით. გადასახადები მოგების გადასახადის გარდა აღირიცხება ნომინალური ღირებულებით.

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ირიცხება საქართველოს საშემოსავლო სამსახურში, ერთ საგადასახადო ანგარიშზე. ანგარიშსწორება ხდება ნეტო საფუძველზე.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები. ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

კაპიტალი. მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. კომპანიაში დამფუძნებლის შენატანის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ხდება მაშინ, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება დაუყოვნებლივ აისახება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივები. ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა.

თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად. იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დამოკიდებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

აღიარების თარიღი ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

შემდგომი შეფასება შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სავალო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახრებით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სავალო ინსტრუმენტები)
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე
- მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან

მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს, ვადიან ანაზღაურებებს ბანკში და სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებს ყველა ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისთვის აღრიცხავს. კომპანია მსზ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს.

ამდენად, კომპანია საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვის ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მთელი სიცოცხლის ვადის განმავლობაში არსებული მსზ-ს საფუძველზე. კომპანია იყენებს ინდივიდუალურ მიდგომას მნიშვნელოვანი კლიენტების მიმართ, ხოლო სხვების მიმართ შემუშავებული აქვს დარეზერვების მატრიცა. ორივე მიდგომა დაფუძნებულია ისტორიულ საკრედიტო ზარალის გამოცდილებაზე, რომელიც კორექტირდება დებიტორებთან და ეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებული საპროგნოზო ფაქტორებით.

კომპანია აღიარებს ფინანსურ აქტივს გადეფოლტებულად, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, კომპანიამ შეიძლება, ასევე, მიიჩნიოს ფინანსური აქტივი გადეფოლტებულად, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ კომპანია ნაკლებად სავარაუდოა, რომ მიიღებს საკონტრაქტო თანხებს სრულად, სანამ არ გაითვალისწინებს კომპანიის საკრედიტო მდგომარეობის გადახედვას. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების აღდგენის შესახებ.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

ფინანსური აქტივი გადფოლტებულად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება, აგრეთვე, ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება კომპანიის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯით – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება კომპანიის ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს.

შემდგომი შეფასება ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

3 ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

მიმდინარე წელს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემულ ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში შეტანილია მთელი რიგი ცვლილებები, რომელთა დანერგვაც სავალდებულოა 2023 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული სააღრიცხვო პერიოდისთვის. მათ დანერგვას არ ჰქონია რაიმე არსებითი გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნებასა ან წარდგენილ თანხებზე.

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები (მათ შორის 2020 წლის ივნისის და 2021 წლის დეკემბრის შესწორება სტანდარტში ფასს 17)	ფასს 17 ადგენს სადაზღვევო კონტრაქტების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და გამჟღავნების პრინციპებს და ანაცვლებს ფასს 4 სადაზღვევო ხელშეკრულებებს. ფასს 17 ასახავს ზოგად მოდელს, რომელიც მოდიფიცირებულია სადაზღვევო კონტრაქტებისთვის პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლებით, აღწერილია როგორც ცვლადი გადასახადის მიდგომა. ზოგადი მოდელი გამარტივებულია, თუ გარკვეული კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია დარჩენილი დაფარვის ვალდებულების გაზომვით პრემიის განაწილების მიდგომის გამოყენებით. ზოგადი მოდელი იყენებს მიმდინარე დაშვებებს მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობის, დროისა და გაურკვევლობის შესაფასებლად და ის ცალსახად ზომავს ამ გაურკვევლობის დანახარჯს. იგი ითვალისწინებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს და მათ გავლენას დაზღვეულის ოფციონებსა და გარანტიებზე. კომპანიას არ აქვს რაიმე კონტრაქტი, რომელიც ფასს 17-ის მიხედვით აკმაყოფილებს სადაზღვევო ხელშეკრულების განმარტებას.
შესწორებები სტანდარტში ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების პრეზენტაცია“ და ფასს პრაქტიკის განცხადებაში 2 „არსებითობის შეფასება - სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტება“	კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დანერგა ბასს 1-ის შესწორება. შესწორება ცვლის ბასს 1-ის მოთხოვნებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებასთან დაკავშირებით. შესწორების მიხედვით ყველგან ნაცვლდება ტერმინი „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა“, ტერმინით - „ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკის შესახებ“. სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია არსებითია, თუ გონივრულად მოსალოდნელია, საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილ სხვა ინფორმაციასთან ერთად განხილვისას მან გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. ბასს 1-ის დამხმარე პუნქტები ასევე შესწორებულია, რათა განმარტოს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, რომელიც ეხება არარსებით ტრანზაქციებს, სხვა მოვლენებს ან პირობებს, არაარსებითია და არ საჭიროებს გამჟღავნებას. სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია შეიძლება იყოს არსებითი დაკავშირებული ტრანზაქციების ბუნების, სხვა მოვლენების ან პირობების გამო, მაშინაც კი, თუ თანხები უმნიშვნელოა. თუმცა, ყველა ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, რომელიც ეხება არსებით გარიგებებს, სხვა მოვლენებს ან პირობებს, არ არის თავისთავად არსებითი. ბასსს-მ, ასევე, შეიმუშავა სახელმძღვანელო მითითებები და მაგალითები, რათა ახსნას და წარმოაჩინოს „არსებითობის ოთხსაფეხურიანი პროცესის“ გამოყენება, რომელიც აღწერილია ფასს-ის პრაქტიკის განცხადება 2-ში.
შესწორებები სტანდარტში ბასს 12 “საშემოსავლო გადასახადები”— აქტივებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი და ერთიანი ტრანზაქციის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები	ბასს 12 შესწორებები გვაცნობს კიდევ ერთ გამონაკლისს თავდაპირველი აღიარების გამონაკლისთან ერთად. შესწორებების მიხედვით, საწარმო არ იყენებს თავდაპირველი აღიარების გამონაკლისს იმ ოპერაციებისთვის, რომლებიც წარმოშობენ თანაბარ დასაბეგრ და გამოქვითვად დროებით სხვაობებს. შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, პირველადი აღიარებისას შეიძლება წარმოიშვას თანაბარი დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი განსხვავებები. აქტივისა და ვალდებულების გარიგებაში, რომელიც არ არის ბიზნეს გაერთიანება და არ მოქმედებს არც სააღრიცხვო მოგებაზე და არც დასაბეგრ მოგებაზე. ბასს 12-ში შეტანილი შესწორებების შემდეგ, საწარმომ უნდა აღიაროს შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, ხოლო ნებისმიერი გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება, რომელიც ექვემდებარება ბასს 12-ის მიხედვით არსებულ ამოღებადობის კრიტერიუმებს. კომპანია არ იყენებს გადავადებული გადასახადის მეთოდს.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

შესწორებები სტანდარტში ბას 12 „საშემოსავლო გადასახადები - საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - პილარ 2-ის მოდელის წესები“	ბასის ცვლის ბას 12-ის მოქმედების სფეროს, რათა განმარტოს, რომ სტანდარტი გამოიყენება საგადასახადო კანონმდებლობით მიღებული ან არსებითად მიღებული საგადასახადო კანონმდებლობით მიღებული საშემოსავლო გადასახადების მიმართ, რომლებიც გამოქვეყნებულია ეთგო-ის მიერ გამოქვეყნებული პილარ 2-ის მოდელის წესების განსახორციელებლად, საგადასახადო კანონმდებლობის ჩათვლით, რომელიც ნერგავს ამ წესებში აღწერილ კვალიფიციურ შიდა მინიმალურ დამატებით გადასახადებს.
შესწორებები სტანდარტში ბას 8 „სააღრიცხვო პოლიტიკები, ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - სააღრიცხვო შეფასების განსაზღვრება“	შესწორება აცნობს ბას 12-ში გადავადებული გადასახადების აღრიცხვის მოთხოვნების დროებით გამონაკლისს, ასე რომ, საწარმო არ აღიარებს და არ გაამჟღავნებს ინფორმაციას პილარ 2-ის მოგების გადასახადებთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ. ცვლილებების შედეგად, კომპანია ვალდებულია გაამჟღავნოს, რომ გამოიყენა გამონაკლისი და ცალ-ცალკე გაამჟღავნოს თავისი მიმდინარე საგადასახადო ხარჯი (შემოსავლები), რომელიც დაკავშირებულია პილარ 2-ის საშემოსავლო გადასახადებთან. კომპანია არ იყენებს გადავადებული გადასახადის მეთოდს.
შესწორებები სტანდარტში ბას 8 „სააღრიცხვო პოლიტიკები, ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - სააღრიცხვო შეფასების განსაზღვრება“	კომპანიამ შესწორებები სტანდარტში ბას 8 პირველად მიმდინარე წელს მიიღო. შესწორებებით სააღრიცხვო შეფასების ცვლილების განსაზღვრება ჩაანაცვლა სააღრიცხვო შეფასების განსაზღვრებით. ამ ახალი განმარტებით, სააღრიცხვო შეფასება არის „ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ფულადი თანხები, რომლებზეც ვრცელდება შეფასების განუსაზღვრელობა“. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების განსაზღვრება ამოღებული იქნა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და განახლებულ ფასს საბუღალტრო სტანდარტებს, რომლებიც გამოქვეყნებულია, მაგრამ ძალაში ჯერ შესულა და, ზოგიერთ შემთხვევაში არ დანერგილა შესაბამისი მხარეების მიერ:

ფას 10 და ბას 28 შესწორებები	აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის
ბას 1 შესწორებები	ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებად
ბას 1 შესწორებები	კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები
ბას 7 და ფას 7 შესწორებები	ფინანსური შეთანხმებები მომწოდებელთან
ფას 16 შესწორებები	საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის შემთხვევაში

ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში, გარდა ქვემოთ მოცემულისა:

შესწორება სტანდარტში “ფას 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბას 28 ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოში” - აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის

ფას 10-სა და ბას 28-ში შესწორებები ეხება სიტუაციებს, როდესაც ხდება აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის. კონკრეტულად, შესწორებებში ნათქვამია, რომ მოგება ან ზარალი, რომელიც გამოწვეულია შვილობილი კომპანიის კონტროლის დაკარგვით, რომელიც არ შეიცავს ბიზნესს ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოსთან გარიგებაში, რომელიც აღირიცხება კაპიტალის მეთოდით, აღიარებულია მშობლის მოგებასა ან ზარალი მხოლოდ ამ ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოში არადაკავშირებული ინვესტორების წილის ოდენობით. ანალოგიურად, მოგება და ზარალი, რომელიც გამოწვეულია ნებისმიერ ყოფილ შვილობილ კომპანიაში შენახული ინვესტიციების ხელახალი შეფასებით (რომელიც გახდა ასოცირებული ან ერთობლივი საწარმო და რომელიც აღირიცხება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით) აღიარებულია ყოფილი მშობლის მოგებასა ან ზარალში მხოლოდ იმ მოცულობით, რაც წარმოადგენს არადაკავშირებული ინვესტორების წილს ახალ ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოში.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

შესწორებების ძალაში შესვლის თარიღი ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული ბასს-ის მიერ; თუმცა, შესწორებების ადრეული დანერგვა დასაშვებია.

კომპანიის დირექტორები ვარაუდობენ, რომ ამ შესწორებების დანერგვამ შესაძლოა, გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში, თუ ასეთი ტრანზაქციები წარმოიქმნება.

შესწორება სტანდარტში „ბას 1 ფინანსური ანგარიშგების პრეზენტაცია“ - ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებად

2020 წლის იანვარში გამოქვეყნებული ბასს 1-ში შესწორებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გავლენას ახდენს მხოლოდ ვალდებულებების, როგორც მიმდინარედ ან გრძელვადიანად წარმოდგენაზე და არა რაიმე აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯის აღიარების ოდენობასა ან ვადაზე, ან ამ მუხლების შესახებ გამჟღავნებულ ინფორმაციაზე.

შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარედ ან არამიმდინარედ, დაფუძნებულია იმ უფლებებზე, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულება; აკონკრეტებს, რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს მოლოდინები, გამოიყენებს თუ არა კომპანია ვალდებულების გადახდის გადავადების უფლებას; განმარტავს, რომ უფლებები არსებობს, თუ კოვენანტები დაცულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და აცნობს “ანგარიშსწორების” განმარტებას, რათა ცხადი გახდეს, რომ ანგარიშსწორება წარმოადგენს კონტრაგენტისთვის ფულის, წილობრივი ინსტრუმენტების, სხვა აქტივებისა და მომსახურებების გადაცემას.

შესწორებები გამოიყენება რეტროსპექტულად 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ნებადართულია მათი ადრეული გამოყენება. ბასს-მა გაათანაბრა ძალაში შესვლის თარიღი 2022 წლის ბასს 1-ის შესწორებებთან. თუ საწარმო გამოიყენებს 2020 წლის ცვლილებებს უფრო ადრეული პერიოდისთვის, მას, ასევე, მოეთხოვება 2022 წლის ცვლილებების ადრეული გამოყენება.

კომპანიის დირექტორები ვარაუდობენ, რომ ამ შესწორებების დანერგვამ შესაძლოა, გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

შესწორება სტანდარტში “ბას 1 ფინანსური ანგარიშგების პრეზენტაცია” - კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები

ცვლილებები განსაზღვრავს, რომ მხოლოდ ის კოვენანტები, რომლებიც საწარმომ უნდა დაიცვას საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას ან მის დასრულებამდე, გავლენას ახდენს საწარმოს უფლებაზე, გადადოს ვალდებულების დაფარვა ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვით (და, შესაბამისად, უნდა იქნას გათვალისწინებული შეფასებისას ვალდებულების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან არამიმდინარედ). ასეთი კოვენანტები გავლენას ახდენს იმაზე, არსებობს თუ არა უფლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მაშინაც კი, თუ კოვენანტთან შესაბამისობა შეფასდება მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ (მაგ. კოვენანტი, რომელიც დაფუძნებულია საანგარიშგებო თარიღისთვის საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელიც შეფასდება შესაბამისობაზე მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ).

ბასსს ასევე აკონკრეტებს, რომ ვალდებულების დაფარვის გადადების უფლება ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ თორმეტი თვით არ იმოქმედებს, თუ საწარმომ უნდა დაიცვას კოვენანტი მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. თუმცა, თუ საწარმოს უფლება, გადადოს ვალდებულების დაფარვა, დაკავშირებულია საწარმოს მიერ კოვენანტების შესრულებასთან საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, საწარმო ამჟღავნებს ინფორმაციას, რომელიც საშუალებას აძლევს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს გააცნობიერონ ვალდებულებების დაფარვის რისკი საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში. ეს მოიცავს ინფორმაციას კოვენანტების შესახებ (მათ შორის, ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ტიპის კოვენანტებია და როდის მოეთხოვება საწარმოს მათი შესრულება), შესაბამისი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და იმ ფაქტებსა და გარემოებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

საწარმოს შეიძლება ჰქონდეს სირთულეების კოვენანტების შესრულებასთან დაკავშირებით.

შესწორებები გამოიყენება რეტროსპექტულად წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. შესწორებების ადრეული გამოყენება დასაშვებია. თუ სუბიექტი მიმართავს შესწორებებს უფრო ადრეული პერიოდისთვის, მას ასევე, მოეთხოვება 2020 წლის შესწორებების ადრინდელი გამოყენება.

კომპანიის დირექტორები ვარაუდობენ, რომ ამ შესწორებების დანერგვამ შესაძლოა, გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

შესწორება სტანდარტში “ზასს 7 ფულადი სახსრების ანგარიშგება” და “ფასს 7 ფინანსური ინსტრუმენტები: შენიშვნები - ფინანსური შეთანხმებები მიმწოდებელთან”

შესწორებები ამატებს ბასს 7-ს გამჟღავნების მიზანს, რომელშიც ნათქვამია, რომ საწარმოს მოეთხოვება გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი მიმწოდებელთან ფინანსური შეთანხმებების შესახებ, რაც საშუალებას აძლევს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შეაფასონ ამ შეთანხმებების ეფექტი საწარმოს ვალდებულებებსა და ფულადი სახსრების ნაკადებზე. გარდა ამისა, ფასს 7 შეიცვალა და დაემატა მიმწოდებელთან ფინანსური შეთანხმებები, როგორც მაგალითი, ლიკვიდურობის რისკის კონცენტრაციაზე საწარმოს ექსპოზიციის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებში.

ტერმინი „ფინანსური შეთანხმებები მიმწოდებელთან“ არ არის განმარტებული. სამაგიეროდ შესწორებები აღწერს შეთანხმების იმ მახასიათებლებს, რასთან დაკავშირებითაც საწარმოს მოეთხოვება ინფორმაციის მიწოდება.

გამჟღავნების მიზნის მისაღწევად, საწარმოს მოეთხოვება ფინანსური შეთანხმებების გამჟღავნება მის მიმწოდებელთან:

- შეთანხმებების პირობები
- ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და თანმხლები პუნქტები, რომლებიც წარმოდგენილია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და რომლებიც შეთანხმების ნაწილია
- საბალანსო ღირებულება და თანმხლები პუნქტები, რომლისთვისაც მომწოდებლებმა უკვე მიიღეს ანაზღაურება ფინანსური პროვაიდერებისგან
- გადახდის ვადების დიაპაზონი როგორც იმ ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმების ნაწილია, ასევე, შესადარისი სავაჭრო გადასახდელებისთვის, რომლებიც არ არის მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმების ნაწილი
- ლიკვიდობის რისკის შესახებ ინფორმაცია

შესწორებები, რომლებიც შეიცავს კონკრეტულ გარდამავალ შედავათებს პირველი წლიური საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელშიც საწარმო იყენებს შესწორებებს, გამოიყენება წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც დაწყებულია 2024 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ. ადრინდელი გამოყენება დასაშვებია.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

შესწორებები სტანდარტში “ ფასს 16 საიჯარო ვალდებულება” - საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის შემთხვევაში

ფასს 16-ში შესწორებები დაემატა შემდგომი შეფასების მოთხოვნებს გაყიდვისა და უკუიჯარის ოპერაციებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ის მოთხოვნებს გაყიდვის სახით აღრიცხვისთვის. შესწორებები მოითხოვს გამყიდველ-ლიზინგის მიმღების მხრიდან “საიჯარო გადახდების” ან “გადასინჯული საიჯარო გადახდების” აღრიცხვას ისე, რომ გამყიდველი-მოიჯარე არ აღიარებს მოგებას ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია გამყიდველი-იჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან, დაწყების თარიღის შემდეგ.

შესწორებები არ ახდენს გავლენას გამყიდველი-ლიზინგის მიმღების მიერ აღიარებულ მოგება-ზარალზე, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან სრულ შეწყვეტასთან. ამ ახალი მოთხოვნების გარეშე, გამყიდველმა მოიჯარემ შესაძლოა აღიაროს მოგება გამოყენების უფლებიდან, რომელსაც ინახავს მხოლოდ საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების გამო (მაგალითად, იჯარის ცვლილების ან იჯარის ვადის ცვლილების შემდეგ) ფასს 16-ის ზოგადი მოთხოვნების გამო. ეს განსაკუთრებით შეიძლება მოხდეს უკუიჯარის შემთხვევაში, რომელიც მოიცავს ცვლადი იჯარის გადახდას, რომელიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე.

როგორც შესწორებების ნაწილი, ბასს-მა შეცვალა ფასს 16-ის საილუსტრაციო მაგალითი და დაამატა ახალი მაგალითი, რაც ასახავს აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების გაყიდვისა და უკუიჯარის ოპერაციებში ცვლადი იჯარის გადახდებით, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსსა ან განაკვეთზე. საილუსტრაციო მაგალითები ასევე განმარტავს, რომ ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება გაყიდვისა და უკუიჯარის ტრანზაქციის შედეგად, რომელიც კვალიფიცირდება როგორც გაყიდვა ფასს 15-ის გამოყენებით, არის საიჯარო ვალდებულება.

შესწორებები ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. უფრო ადრე გამოყენება დასაშვებია, თუ გამყიდველი- მოიჯარე გამოიყენებს შესწორებებს უფრო ადრეული პერიოდისთვის, მას მოეთხოვება ამ ფაქტის გამჟღავნება.

გამყიდველი-მოიჯარე შესწორებებს გამოიყენებს რეტროსპექტულად ბასს 8-ის შესაბამისად გაყიდვისა და უკუიჯარის ოპერაციებზე, რომლებიც დადებულია თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგ, რომელიც განისაზღვრება, როგორც წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი, როდესაც საწარმომ პირველად გამოიყენა ფასს 16.

4 კრიტიკული შეფასებები და შეფასებების განუსაზღვრელობის უმთავრესი წყაროები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

შპს “მირკო”

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

შეფასებათა განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ ჩამოთვლილია მომავალთან დაკავშირებული ის ძირითადი დაშვებები და შეფასებათა განუსაზღვრელობის სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლებსაც პოტენციურად შეუძლია აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მნიშვნელოვანი კორექტირების გამოწვევა მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა

ძირითადი საშუალების ერთეულის სასარგებლო მოხმარების ვადა დგინდება ხელმძღვანელობის შეფასებით და ეფუძნება მსგავს აქტივებზე არსებულ გამოცდილებას. მხედველობაში მიიღება მოსალოდნელი გამოყენების ფორმა, მოსალოდნელი ტექნიკური დაძველება, ფიზიკური ცვეთა და ოპერირების ფიზიკური გარემო. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადობის პრინციპით. ამის განსასაზღვრად ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მოგებიანობა და წვდომა ფინანსურ რესურსებზე, და გაანალიზა ფინანსური ბაზრების ვითარების გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს იმ შეფასებული ზარალის აღსარიცხად, რომელსაც იღებს, როდესაც კლიენტს არ აქვს უნარი, გააკეთოს შესაბამისი გადახდა ან მომწოდებელს - უნარი, მიაწოდოს მას შეთანხმებული საქონელი ან მომსახურება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დონის შეფასებისას, ხელმძღვანელობა მხედველობაში იღებს არსებულ ზოგად ეკონომიკურ ვითარებას, მოთხოვნის ვადას და გადახდილი ავანსების ნაშთებს, აგრეთვე ჩამოწერების ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტისა და მიმწოდებლის კრედიტუნარიანობას და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტისა და მიმწოდებლის გარემოებათა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კორექტირება. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის უიმედო სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ოდენობა, შესაბამისად, 2,761 ლარს და 1,283 ლარს შეადგენს.

გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნა ფინანსური კომპონენტით. კომპანიას ერთ-ერთ კლიენტთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: კლიენტი ყიდულობს სამედიცინო აპარატურას, რომლის ღირებულებაც მომავალში დაკორექტირდება 30%-ით, თუ კლიენტი აპარატურის დაინსტალირებიდან 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად გააკეთებს მინიმალურ შეკვეთას. ხელშეკრულების მიხედვით ფასდაკლებული თანხის 50%-ის გადახდა მოხდება არაუგვიანეს 2026 წლის 25 ივნისისა, ხოლო დარჩენილი 50%-ის გადახდა 2026 წლის ივლისიდან 12 თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობის შეფასებით კლიენტი შეძლებს ზემოთაღნიშნული პირობის შესრულებას და შესაბამისი ფასდაკლების მიღებას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობამ შეაფასა დისკონტირების განაკვეთი და გადახდის ვადა. აღნიშნული თანხა დადისკონტირდა გადახდის თარიღიდან მოთხოვნის წარმოშობის თარიღამდე და აღირიცხა 266 ლარით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნის თანხა შეადგენს 309 ლარს.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

5 ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა	სამედიცინო აპარატურა	ავიჯი და ოფისის აღჭურვილო ბა	მანქანები	სხვა	სულ
ღირებულება						
2022 წლის 1 იანვარი	-	1,014	419	300	155	1,888
შესყიდვა	557	39	12	39	27	674
2022 წლის 31 დეკემბერი	557	1,053	431	339	182	2,562
შესყიდვა	1,874	130	89	30	123	2,246
ჩამოწერა	-	-	-	(5)	-	(5)
2023 წლის 31 დეკემბერი	2,431	1,491	233	371	277	4,803
ცვეთა						
2022 წლის 1 იანვარი	-	737	63	125	70	995
ცვეთის ხარჯი	-	125	11	41	13	190
2022 წლის 31 დეკემბერი	-	862	74	166	83	1,185
ცვეთის ხარჯი	58	123	18	40	16	255
2023 წლის 31 დეკემბერი	58	985	92	206	99	1,440
ნეტო 2022 წლის 31 დეკემბერი	557	191	357	173	99	1,377
ნეტო 2023 წლის 31 დეკემბერი	2,373	506	141	165	178	3,363

6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31.12.2023	31.12.2022
სამედიცინო საქონელი	11,333	12,341
ცხოველთა საკვები	632	389
სხვა მარაგები	33	93
სულ მარაგები	11,998	12,823

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში ხარჯებად აღიარებული მარაგების ღირებულება იყო შესაბამისად 16,912 ლარისა და 18,782 ლარის შესაბამისად.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

7 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31.12.2023	31.12.2022
მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები	7,302	6,447
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	309	
გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(2,761)	(1,283)
სულ სავაჭრო და დებიტორული დავალიანება	4,850	5,164

აღიარებული გაუფასურება წარმოადგენს სხვაობას ამ სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი შემოსავლების მიმდინარე ღირებულებას შორის. კომპანია ამ ნაშთებზე რაიმე სახის უზრუნველყოფას არ ფლობს.

ანალიზი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ვადიანობის მიხედვით:

31/12/2023	ვადაგადაუც ილებელი	<30 დღე	30-60 დღე	60-90 დღე	>90 დღე	სულ
მთლიანი თანხა	2,645	1,257	1,234	289	2,186	7,611
მსზ სიცოცხლის მანძილზე	(57)	(126)	(247)	(145)	(2,186)	(2,761)
მსზ %	2%	10%	20%	50%	100%	

31/12/2022	ვადაგადაუც ილებელი	<30 დღე	30-60 დღე	60-90 დღე	>90 დღე	სულ
მთლიანი თანხა	4,537	423	327	150	1,010	6,447
მსზ სიცოცხლის მანძილზე	(91)	(42)	(65)	(75)	(1,010)	(1,283)
მსზ %	2%	10%	20%	50%	100%	

კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზარალის რეზერვს ყოველთვის აფასებს მთელი სასიცოცხლო ვადის მსზ-ის ოდენობის თანხით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე ფასდება დებიტორის დეფოლტის წარსული გამოცდილებითა და დებიტორის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ანალიზით, რომელიც დებიტორისთვის სპეციფიური ფაქტორებითა და მისი დარგის ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობით კორექტირდება. მხედველობაში მიიღება აგრეთვე ანგარიშგების თარიღში არსებული სიტუაციის საპროგნოზო მიმართულება და არსებული ვითარება. კომპანიამ 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე ყველა ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნის ზარალის რეზერვი 100%-ით შეფასა, რადგან ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეს მოთხოვნები ამოღებას აღარ ექვემდებარება.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნას ჩამოწერს, როდესაც არსებობს იმის მანიშნებელი ინფორმაცია, რომ დებიტორი მძიმე ფინანსურ სირთულეს განიცდის და თანხის ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს.

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია მთლიანი სასიცოცხლო ვადის მსზ-ის მოძრაობა, რომელიც აღიარებული იქნა სავაჭრო მოთხოვნებზე ფასს 9 სტანდარტში აღწერილი გამარტივებული მიდგომის შესაბამისად:

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	31.12.2023	31.12.2022
საწყისი	1,283	353
გაუფასურების ხარჯი	1,623	1,072
გაუფასურების აღდგენა	(145)	(142)
საბოლოო	2,761	1,283

8 სხვა მოკლევადიანი აქტივები

	31.12.2023	31.12.2022
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	655	205
გადახდილი გადასახადები	297	193
სხვა მოკლევადიანი აქტივები	1	2
სულ გადახდილი ავანსები	953	400

2015 წლის 7 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რომლის მიხედვით ყველა საგადასახადო გადასახდელი უნდა აღირიცხოს ერთიან საგადასახადო ანგარიშზე. შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი, წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე.

9 ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში

	ვალუტა	%	ვადა	31.12.2023	31.12.2022
სადეპოზიტო სერტიფიკატი	ლარი	12.3%	2024	861	-
სადეპოზიტო სერტიფიკატი	დოლარი	1.5%	2024	272	-
სულ ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში				1,133	-

კომპანიამ 2023 წელს განათავსა დისკონტირებული სადეპოზიტო სერტიფიკატები საქართველოს კომერციულ ბანკში, რომელიც „ფიტის“ მიხედვით შეფასებულია B (მოკლევადიანი) და BB- (გრძელვადიანი) რეიტინგებით.

2023 წელს კომპანიამ მიიღო 64 ლარის საპროცენტო სარგებელი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

10 ბანკში განთავსებული ვადიანი ანაზრები

	%	31.12.2023	31.12.2022
ვადიანი ანაზრები	12.5%	671	1,329
სულ ვადიანი ანაზრები		671	1,329

ვადიანი ანაზრები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში და მათი საწყისი საკონტრაქტო ვადა 90 დღეზე მეტია. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ვადიან ანაზრებზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა 134 ლარი და 229 ლარი, შესაბამისად.

11 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	2,124	5,728
ნაღდი ფული სალაროში	5	8
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	2,129	5,736

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტები არის ვადაგადაუცილებელი ფინანსური აქტივები. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფულადი სახსრების უმეტესობა განთავსებულია „ფიტჩის რეიტინგის“ მიერ B (მოკლევადიანი) და BB- (გრძელვადიანი) რეიტინგებით შეფასებულ საქართველოს კომერციულ ბანკებში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული ბანკში მოიცავს საბანკო გარანტიის ხელშეკრულების მიხედვით შეზღუდულ ფულს 8 ლარის ოდენობით.

12 გაუნაწილებელი მოგება

2023 და 2022 წლების განმავლობაში გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები იყო 4,287 ლარი და 4,497 ლარი, შესაბამისად.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 21,460 ლარი და 21,255 ლარი, შესაბამისად.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

13 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2023	31.12.2022
კრედიტორული დავალიანება მომწოდებლების მიმართ	3,144	5,093
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,144	5,093

14 მიღებული ავანსები

	31.12.2023	31.12.2022
კლიენტებისგან მიღებული თანხები	521	494
სულ მიღებული ავანსები	521	494

კომპანიამ გამოიყენა ფასს 15.121-ით გათვალისწინებული პრაქტიკული მიზანშეწონილობა და არ წარადგენს ინფორმაციას შეუსრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებაზე განაწილებული გარიგების ფასის აგრეგირებული თანხის შესახებ, რომლის შესაბამისი ხელშეკრულების თავდაპირველი ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

15 შემოსავალი

	2023	2022
შემოსავალი სამედიცინო საქონლის რეალიზაციიდან	22,552	25,904
შემოსავალი ცხოველების საკვების რეალიზაციიდან	1,478	1,055
შემოსავალი მომსახურებიდან	90	108
სულ შემოსავალი	24,120	27,067

16 ამონაგების თვითღირებულება

	2023	2022
სამედიცინო საქონლის რეალიზაციის თვითღირებულება	14,378	16,886
ცხოველების საკვების თვითღირებულება	895	592
მომსახურების თვითღირებულება	300	283
სულ შემოსავალი	15,573	17,761

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის სამედიცინო საქონლის რეალიზაციის თვითღირებულება შეიცავს ვადაგასული სასაქონლო-მატერიალური მარაგების კორექტირებას 1,656 ლარისა და 1,294 ლარის ოდენობით.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

17 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
თანამშრომელთა ხელფასები	754	560
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	316	250
მივლინების ხარჯი	77	42
საბანკო მომსახურება	71	42
კომუნალური ხარჯები	61	57
დაზღვევის ხარჯი	36	35
სხვა საგადასახადო ხარჯი	55	31
კომუნიკაციის ხარჯები	12	10
სხვა საერთო ხარჯი	140	95
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,522	1,122

18 ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიის სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში, ვადიანი ანაზღაურებები და ფული და ფულის ექვივალენტები.

	31.12.2023	31.12.2022
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	1,133	-
ბანკში განთავსებული ვადიანი ანაზღაურებები	671	1,329
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	4,850	5,164
ფული და ფულის ექვივალენტები	2,129	5,736
სულ ფინანსური აქტივები	8,783	12,229
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,144	5,093
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,144	5,093

კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება.

კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს მხოლოდ ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების (ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში), ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში, ვადიანი ანაზღაურებისა და სავაჭრო მოთხოვნების ოდენობით. ნაღდი ფულის ნაშთი განთავსებულია უმსხვილეს ქართულ ბანკებში.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

გეოგრაფიული რისკი

კომპანიის აქტივები ძირითადად საქართველოში მდებარეობს და მისი ბიზნეს-გეგმები კრიტიკულადაა დამოკიდებული ქვეყანაში სტაბილურობასა და წესრიგზე. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, კომპანია ექვემდებარება საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკებს. კომპანიის ვალდებულებები ძირითადად განთავსებულია ეთგო ქვეყნებში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

31.12.2023	1 წელზე <	1 წლიდან 5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,144	-	3,144
საიჯარო ვალდებულება	81	261	342
ვალდებულებები	3,225	261	3,486

31.12.2022	1 წელზე <	1 წლიდან 5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,093	-	5,093
საიჯარო ვალდებულება	84	76	160
ვალდებულებები	5,177	76	5,253

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ნასესხები სახსრები, შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთის რისკი არ მოქმედებს.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ შესაძლოა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითი ზემოქმედება გამოიწვიოს იმ კურსის ცვლილებამ, რომელსაც კომპანია ექვემდებარება. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ოპერაციებს. კომპანია არ იყენებს რომელიმე წარმოებულს უცხოური ვალუტის რისკის ზემოქმედების მართვისთვის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში აღრიცხული ფინანსური აქტივები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე ნაჩვენებია მათი მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს:

	დოლარი		ევრო	
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური აქტივები უცხოურ ვალუტაში				
ბანკში განთავსებული ვადიანი ანაზღაურებები	-	270	-	-
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	272	-	-	-
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	-	-	1,252	1,395
ფული და ფულის ექვივალენტები	11	193	195	1,715
ფინანსური ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1	40	2,959	4,997
წმინდა პოზიცია	282	423	(1,512)	(1,887)

ზემოთ მოყვანილი ანალიზი მოიცავს მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. არ არსებობს სავალუტო რისკის არსებობის შესაძლებლობა არაფულად აქტივებში.

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალისა მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

31 დეკემბერი 2023	ზეგავლენა მოგება -ზარალზე
აშშ დოლარის 20%-თ გამყარება/(გაუფასურება)	56/(56)
ევროს ვალუტის 20%-თ გამყარება/გაუფასურება)	(302)/302
31 დეკემბერი 2022	ზეგავლენა მოგება -ზარალზე
აშშ დოლარის 20%-თ გამყარება/(გაუფასურება)	85/(85)
ევროს ვალუტის 20%-თ გამყარება/გაუფასურება)	(377)/377

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების გამო.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

19 სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან საბალანსო უწყისის გამოშვების თარიღისთვის მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ყველა ის ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც შეფასებული ან გაცხადებულია, იერარქიულად მესამე დონეს არის მიკუთვნებული.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხდება იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. თუმცა, განუსაზღვრელობების და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების დაფარვით.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, ხასიათდება მოკლევადიანობით და შესაბამისად მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც ცნობილია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება.

20 კომპანიის საოპერაციო გარემო და პირობითი ვალდებულებები

სასამართლო წარმოება

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვანი სასამართლო განხილვის პროცესში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ადგილი არ ექნება რაიმე არსებითი დაუფარავი ზარალის წარმოშობას და, შესაბამისად, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იქნება გათვალისწინებული რაიმე რეზერვი.

გადასახადები

მოქმედი საგადასახადო რეგულაციები ხშირად იცვლება და ბევრი პრეცედენტი არ არსებობს. ამის გამო საგადასახადო რისკები საქართველოში შეიძლება გაცილებით მაღალი იყოს, ვიდრე უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემის მქონე ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია არსებითად აკმაყოფილებს იმ საგადასახადო კანონებს, რომლებიც მის საქმიანობას ეხება. ამის მიუხედავად, მაინც არსებობს იმის რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ამა თუ იმ კანონის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოახდინონ.

კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობები ხორციელდება საქართველოში. განვითარებადი ეკონომიკები, როგორცაა საქართველო, სწრაფი ცვალებადობით ხასიათდება და მოწყვლადია გლობალური ბაზრის მდგომარეობის და ეკონომიკური ვარდნების მიმართ. შედეგად, საქართველოში საქმიანობა უკავშირდება გარკვეულ რისკებს რომლებიც როგორც წესი არ ასოცირდება განვითარებულ ბაზრებთან. მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ განახორციელა არაერთი სამოქალაქო, კრიმინალური, საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმა რომლებმაც პოზიტიურად იმოქმედეს ქვეყნის საერთო საინვესტიციო კლიმატზე.

შპს “მირკო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, რამაც გამოიწვია ქვეყნებს შორის სრულმასშტაბიანი ომი. ამ მოვლენების შემდეგ აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, ევროკავშირმა და სხვა ქვეყნებმა გაახანგრძლივეს სანქციები რუსეთის და მისი მოქალაქეებისა თუ კომპანიების წინააღმდეგ. ამან გამოიწვია რუსული რუბლის შესუსტება, რუსეთის ეკონომიკის რეცესია და სხვა უარყოფითი შედეგები. ამ ეტაპზე აღნიშნულ მოვლენებს არ აქვს გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

21 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები:	2023	2022
საიჯარო ვალდებულება	239	128

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, ხელფასისა და სხვა სარგებლის სახით 2022 და 2021 წელს შეადგინა 181 ლარი და 177 ლარი, შესაბამისად.

22 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები 3,354 ლარის ოდენობით.

შპს „მირკო“

მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

მმართველობითი ანგარიშგება

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „მირკო“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოში 2002 წლის 11 დეკემბერს საქართველო კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით (204996772). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეკინის გამზ., N15ა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო სადიაგნოსტიკო აპარატურის და სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების იმპორტი და საბითუმო/საცალო რეალიზაცია და სერვისული მომსახურება. კომპანია, ასევე, ახორციელებს ცხოველების საკვების (მაღლებისა და კატებისთვის) იმპორტს გერმანიიდან და შემდგომ მათ საბითუმო/საცალო რეალიზაციას.

შპს „მირკო“ საკუთრებაშია საცალო სავაჭრო მაღაზიები თბილისში: ისანში, ვ.ლობჯანიძის ქ.#1 და ვაკეში, ფალიაშვილის ქ.#66, ასევე ქ.ბათუმში, კლდიაშვილის #3-ში.; კომპანიას აქვს, აგრეთვე, იჯარით აღებული ფართი თბილისში: გაგარინის 14/16 და პეკინის გამზ.#15 ა-ში. ამ მაღაზიებში ხდება როგორც სამედიცინო, ასევე ცხოველთა საკვები პროდუქციის რეალიზაცია, სამედიცინო საქონელი და ცხოველთა საკვები განლაგებულია განცალკევებულად, თავ-თავიანთ ფართში;

შპს „მირკოს“ ოფისი და ძირითადი საწყობი განლაგებულია თბილისში, ნ.ბოხუას ქუჩის 1 ელი შესახვევი #12-სა და #10-ში.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ომარ ლომსაძე.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 51 და 45, შესაბამისად. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა შორის 55% ქალია, ხოლო 45% მამაკაცი.

შპს „მირკოს“ უდიდესი მომწოდებელია გერმანული კომპანია ROCHE DIAGNOSTICS, ასევე მსხვილი გერმანული კომპანიები: SYSMEX, STORZ, შვეიცარული სამედიცინო კომპანიები: MICROLIFE, FORA, საფრანგეთის სამედიცინო კომპანია STAGO, დიდი ბრიტანეთის სამედიცინო კომპანია ELGA LABVATER; ავსტრიული სამედიცინო კომპანია Greiner Bio-One; რომელებიც გვაწვდის სამედიცინო რეაქტივებს, სახარჯ მასალას, დიაგნოსტიკურ ტესტ სისტემებს და სამედიცინო ანალიზატორებს, წყლის დეიონიზაციის და ფილტრაციის აპარატებს, სისხლის ასაღებ სინჯარებს, წნევის საზომ აპარატებს, თერმომეტრებს, სამედიცინო სასწორებს და ა.შ.; ხოლო ცხოველთა საკვები შემოაქვს გერმანიიდან, კომპანია Bewital Petfood-იდან.

შპს „მირკოს“ მსხვილი მომხმარებლები არიან სამედიცინო კლინიკები: შპს ავერსის კლინიკა, შპს ნიუ ჰოსპიტალსს, შპს ლაბორატორია მრჩეველი(ლიმბახი), შპს აკად.ნ.ყიფშიძის სახ.ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა(რესპუბლიკური საავადმყოფო), სს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პრაქტიკული ცენტრი (შიდსის ცენტრი), შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი, შპს ირის ბორჩაშვილის სახ.ჯანმრთელობის ცენტრი მედინა, შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი და ა.შ.

შპს “მირკო“

მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას

კომპანიას 2023 წელს არ უწარმოებია რაიმე ტიპის კვლევა, გარდა სამედიცინო ბაზარზე არსებული სიტუაციის ანალიზისა.

კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

	2023	2022
ამონაგები	24,120	27,067
მთლიანი მოგება	8,547	9,306
წმინდა მოგება	4,492	6,275
მთლიანი მოგება (%)	35%	34%
წმინდა მოგება (%)	19%	23%
უკუგება აქტივებზე	18%	23%
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	5.78	4.50

ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შესყიდვის თაობაზე

2023 და 2022 წლებში კომპანიას აქციები არ უყიდა.

კომპანიის ფინანსური და არაფინანსური რისკებისა და რისკების მართვის მექანიზმების მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება.

კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს მხოლოდ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების (ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში), ვადიანი ანაზრების, ინვესტიციების სავალო ინსტრუმენტებში და სავაჭრო მოთხოვნების ოდენობით. ნაღდი ფულის ნაშთი განთავსებულია უმსხვილეს ქართულ ბანკებში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 18.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 18.

შპს “მირკო”

მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ნასესხები სახსრები, შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთის რისკი არ მოქმედებს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 18.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ შესაძლოა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითი ზემოქმედება გამოიწვიოს იმ კურსის ცვლილებამ, რომელსაც კომპანია ექვემდებარება. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ოპერაციებს. კომპანია არ იყენებს რომელიმე წარმოებულს უცხოური ვალუტის რისკის ზემოქმედების მართვისთვის. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 18.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების გამო. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 17.

პოლიტიკური რისკები

არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს უარყოფითად შეუძლია იმოქმედოს პროდუქტების მოთხოვნაზე, შემოსავლებსა და მომგებიანობაზე. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება პოლიტიკური გარემოს ცვლილებებს პოტენციური სამომავლო მოვლენების განჭვრეტისა და აუცილებელი და საკმარისი ცვლილებების გატარების მიზნით.

მომავალი პერსპექტივები

შპს მირკოს გეგმაში აქვს, ქ.თბილისში სხვადასხვა ადგილას გახსნა ობიექტები, საიდანაც მოხდება საქონლის საბითუმო/საცალო რეალიზაცია.

ჯანიკო აბიათარი

დირექტორი

შპს "მირკო"

მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ნასესხები სახსრები, შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთის რისკი არ მოქმედებს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 18.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ შესაძლოა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითი ზემოქმედება გამოიწვიოს იმ კურსის ცვლილებამ, რომელსაც კომპანია ექვემდებარება. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ოპერაციებს. კომპანია არ იყენებს რომელიმე წარმოებულს უცხოური ვალუტის რისკის ზემოქმედების მართვისთვის. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 18.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების გამო. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 17.

პოლიტიკური რისკები

არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს უარყოფითად შეუძლია იმოქმედოს პროდუქტების მოთხოვნაზე, შემოსავლებსა და მომგებიანობაზე. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება პოლიტიკური გარემოს ცვლილებებს პოტენციური სამომავლო მოვლენების განჭვრეტისა და აუცილებელი და საკმარისი ცვლილებების გატარების მიზნით.

მომავალი პერსპექტივები

შპს მირკოს გეგმაში აქვს, ქ.თბილისში სხვადასხვა ადგილას გახსნა ობიექტები, საიდანაც მოხდება საქონლის საბითუმო/საცალო რეალიზაცია.


ჯანიკო აბიათარი
დირექტორი

